

genç anneyoba

**domoromd
ro domogd**







დიანგეთის საქმეთა სამმართველოს გამომცემლობა: 1594
ჯიბის წიგნები: 141

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი muslim-georgia

ბეჭდვითი მონიტორინგი

დოქ. ფატიჰ ქურთი

კოორდინატორი

ლოქმან არსლანი

გამოცემისთვის მოამზადა

უღურ ალთინთოფი

ნაწარმოების განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება:

20.02.2019/27

ISBN: 978-605-7519-38-2

2019-06-Y-0003-1594

სერთიფიკატის ნო: 12930

1. გამოცემა, ანკარა 2019

გამოცემა

Başak Mat. Tanı. Hiz. İth. Ihr. Tic. Ltd. Şti.

+90 312 397 16 17

© თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამმართველო

საკონტაქტო ინფორმაცია

რელიგიური პუბლიკაციების გენერალური სამმართველო
უცხო ენასა და დიალექტებზე საგამომცემლო სამმართველო

Dini Yayınlard Genel Müdürlüğü

Yabancı Dil ve Lehçelerde Yayınlard Daire Başkanlığı

Üniversiteler Mah. Dumlupınar Bulvarı

No: 147/A 06800 Çankaya/Ankara/TÜRKİYE

ტელ: +90 312 295 72 81

ფაქსი: +90 312 284 72 88

e-posta: yabancidiller@diyanet.gov.tr

ძალადობა და ბინდურება



ელიაზ ამისლავი



თურქეთის რესპუბლიკის რელიგიის საქმეთა სამსართველო

სარჩევი რწმენის პირობები

წინასიტყვაობა • 5

შესავალი • 9

ბავშვი, როგორც ძალადობის • 15

პირდაპირი მსხვერპლი • 15

ფიზიკური ძალადობა • 15

ბავშვის მიმართ ფსიქოლოგიური ზეწოლა • 24

ემოციური ზეწოლის მაგალითები • 35

რეკლამის უარყოფითი გავლენა ბავშვებზე • 38

ბავშვი, ძალადობის მოწმე • 41

ბავშვი, როგორც ოჯახური ძალადობის მოწმე • 41

ბავშვი მასმედიის ზეგავლენის ქვეშ • 43

წანახუყდობა

ადამიანი საზოგადოების ნაწილია. ერთიან სივრცეში მცხოვრები ადამიანები ვალდებული არიან იცოდნენ ინდივიდის უფლებება- მოვალეობები და პასუხისმგებლობის გრძნობით უნდა მოქმედებდნენ, რათა ადამიანთა შორის მშვიდობა და ბედნიერება იქნას უზრუნველყოფილი. პასუხისმგებლობის შეგნება პიროვნებამ, უპირველეს ყოვლისა საკუთარით უნდა დაიწყოს. პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა ვისაც გააჩნია, მან ოჯახისა და საზოგადოების წინაშე არსებული პასუხისმგებლობაც იცის და დაკისრებულ მოვალეობასაც ასრულებს.

„ნუთუ ეგონა ადამიანს, რომ უპასუხისმგებლოდ იქნებოდა მიტოვებული?“

ქიამეთ სურას 36-ე აიათი მიგვითითებს, რომ ადამიანი პასუხისმგებლობის მატარებელი არსებაა.

„მერე იმ დღეს, აუცილებლად მოგეკითხებათ, რაც გებოდათ!“

თექასურის სურას მე-8 აიათი კი გვიჩვენებს, რომ ადამიანს, უპირველეს ყოვლისა გონება და სხვა მრავალი წყალობა ებოდა და ამის საპასუხოდ, გარკვეული ვალდებუ-

ძალადობა და ბეჭდება

ლებები დაეკისრა, რომელიც შეძლებიდაგვარად უნდა შეასრულოს.

საზოგადოების სიმშეიდეს, უმთავრესად გაურკვევლობა არღვევს, ყველას გვეკისრება პასუხისმგებლობა, რათა ადამიანის ლირსებისთვის შესაფერისი მომავალი შევიქმნათ. ცხადია, რომ დღეს ჩვენს საზოგადოებაში მრავალი გაურკვეველი საკითხი არსებობს.

დღეისათვის მსოფლიო საზოგადოების მომავალს მრავალი საფრთხე ემუქრება. ესენია: შიმშლი, სიდარიბე, გარემოს დაბინძურება, ბუნებრივი კატასტროფები, სოციალური უთანასწორობა, არათანაბარი პირობები, ზნეობრივი დაცემულობა, სულიერი სიმდაბლე, მატერიალური მიდრეკილებები, ურწმუნოება, ბოროტება, არასაკმარისად ჯანსაღი გარემო, გაურკვევლობა განათლებისა და სამართლიანობის სფეროში, ისტორიული და კულტურული ლირებულებების განადგურება და სხვა. გარდა ამისა, ამ ყველაფერს ემატება ადამიანებს შორის დიალოგის. ტოლერანტობისა და შემწყნარებლობის შემცირება, განსხვავებული აზრის დევნა და ტერორი.

ყველა ეს საკითხი არა კონკრეტული რეგიონის ან ერისთვისაა დამახასიათებელი, არამედ მთელი მსოფლიოს მოსახლეობა

რადაც ფორმით, გაურკვევლობაშია ჩაფლული. ამ საკითხების მოსაგვარევლად კი ხალხებს შორის ურთიერთობის გაღრმავება და საერთაშორისო მნიშვნელობის ქმედითი მიღწევების ძიებაა საჭირო.

სინამდვილეში, უმთავრესი არის ის, რომ ჩვენს ხელთ არსებულ ღირებულებებს ვერ ვამჩნევთ და შესაბამისად ამ ღირებულებებით არ ვცხოვრობთ. გამომდინარე აქედან, ჯერ ეს ღირებულებები უნდა აღმოვაჩინოთ და ყოველდღიურობაში დავნერგოთ. უპტველია, რომ ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირებულება ისლამია, რომელიც რამდენიმე ათეული საუკუნის განმავლობაში, კაცობრიობას გზას უნათებს.

დღეს, ადამიანის შესაძლებლობების განვითარების მიზნით შემუშავებული ფსიქო-თერაპიის მეთოდების ქმედითუნარიანობისათვის, ეკოლოგიური პრობლემების, ნარკომანიის წინააღმდეგ ბრძოლის და სხვა მსგავსი გამოწვევების წინააღმდეგ რელიგიის მნიშვნელობა აშკარაა. ისლამს გააჩნია საიმისო შესაძლებლობა, რომ თანამედროვე გამოწვევებს უპასუხოს. მას აქვს საიმისო დინამიკა, რათა თანამედროვე მსოფლიოს ახალი ფორმულირებები შესთავაზოს.

ამ თვალსაზრისით ჩვენი სარწმუნოების მიერ გადმოცემული ბრძანებები და რჩევა-

ძალადობა და ბიურებულება

ბი, რომლებიც ურთიერთდახმარებისა და ტოლერანტობის პრინციპების დამკვიდრებას უწყობს ხელს, ყურად უნდა ვიღოთ და ადამიანებს შორის არსებული უფლება-მოვალეობები კარგად გავიაზროთ და ცხოვრების ჭირი და ლხინი ერთად ვზიდოთ. ჩვენი ცხოვრების სტილი სოციალური ურთიერთთანადგომა უნდა იყოს და ბედნიერი მომავლისთვის ყველამ ერთად ვიბრძოლოთ.


შესახვა

გავიხსევნოთ, ბავშვის დაბადებას, როგორი მოლოდინითა და მდელვარებით ველოდებით. ის ხომ თვალის სინათლეა, როგორც ამას ყურანში დმერთი ბრძანებს. ბავშვის დაბადებისთანავე მშობლების ტვირთი, პასუხისმგებლობა და ზრუნვა მატულობს. მაგრამ, მშობლებისთვის იმდენად დიდია სიყვარული და ღმერთისგან მინიჭებული ძალა, რომ მათ შეუძლიათ მუდმივად თავს დასტრიალებდნენ პატარას. ის რამდენადაც უმწეო და სუსტია, იმდენად საყვარელია. ის უკვე სრულად თავის მშობლებსაა მინდობილი.

მშობლებისთვის შვილი, თვალის სინათლე და სიყვარულის წყაროა, ამავდროულად გამოცდის საშუალება. (სურა თედაბუ 64/15) ბუნებრივია ამ გამოცდის წარმატებით გავლა სურთ. ყურანში და ჰადისებში არის მოწოდებები იმის თაობაზე, რომ წყვილებმა შვილები იყოლიონ და ამასთანავე ცნობილია, რომ ისინი ერთგვარი გამოცდა არიან ჩვენთვის, ამიტომ მორწმუნებებმა იციან, რომ შვილის გაჩენა მათი ცხოვრების ერთადერთი მიზანი არ არის. მათი მიზანი უკვე ბავშვის ღირსეულად აღზრდაა. მათ იციან, რომ მიცვალებული ადამიანის ცხოვრების წიგნი იხურება, მაგრამ კარგი შვი-

ძალადობა და ბიურება

ლის აღმზრდელი მშობლების ცხოვრების წიგნი არ დაიხურება. ყოველი კეთილი საქმისა და მადლისთვის, რასაც მათი შვილი გააკეთებს, ის მადლი მშობლებსაც ერგაბათ. (მუსლიმ, ვასიეთ, 14)



ღმერთის ნებით, ჯერ კიდევ მუცლად მყოფი შვილისთვის უნდა ვილოცოთ და ვევედროთ ღმერთს, რომ ის ღირსეული და კარგი ადამიანი აღიზარდოს. ბაგშვის დაბადების შემდეგაც მისი სულიერი და ფიზიკური სიჯანსაღისათვის იგივენაირად ლოცვა-ვედრება უნდა აღვავლინოთ. ძირითა-

დი საზრუნავი ბავშვის დაბადების შედეგ იწყება. ამ მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი პროცესის დროს შეცდომების არ დაშვება და დაშვებული შეცდომების გამოსწორება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამგვარი გამოცდის გათვალისწინებით, საკუთარი თავისა და საზოგადოებისთვის სასარგებლო ადამიანის აღზრდა, რომელიც ამქვეყნადაც და საიქოზიც დირსეულ ადგილს დაიმკვიდრებს, ბუნებრივია გარკვეულ პასუხისმგებლობას ბადებს.

პირველი პასუხისმგებლობა კარგი სახელის შერჩევაა. სახელი დირსეული უნდა იყოს. ამის შემდეგ, სხვა ვალდებულებები იწყება. ბავშვის მოვლა და მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, დაბადებისთანავე იწყება. ასევე იწყება სხვა ვალდებულებებიც: სიყვარული, მზრუნველობა, ქცევის და ზრდილობის ნორმების შესწავლა, განათლებაზე ზრუნვა, დედმამიშვილებთან, სამართლიანი დამოკიდებულება, მომავალ პროფესიაზე ზრუნვა, ხელოვნების და სპორტის მხრივ ხელშეწყობა და სხვა. ეს ყველაფერი, კარგად აღზრდაში იგულისხმება. ამის მისაღწევად, საჭიროა მშობლებმა კარგად იცოდნენ ბავშვის ბუნება, სულიერი მდგომარეობა და მოთხოვნილებები, რაც შვილებთან დაკავშირებით გეგმების განხორციელებაში დაეხმარებათ. გამომდინარე აქედან, მშობლების მოვალეობა მხოლოდ ბავშვის

გაჩენითა და რჩენით არ შემოიფარგლება. მშობლების მოვალეობა მრავალმხრივი და მრავალფეროვანია.

შუამავალი ბრძანებდა, რომ ყველაზე კარგი საჩუქარი, რაც შეიძლება მშობლებმა შვილებს დაუტოვონ, კარგი აღზრდაა. (თირმიზი, ბირრ, 33) კარგი აღზრდა მრავალ სიკეთეს მოუტანს ყველას.

ყოველ მშობელს სურს, რომ შვილები კარგად აღზარდოს. კარგად აღზრდილი შვილი ყველასთვის სასიკეთოა: ოჯახის, მშობლების, საზოგადოების და ქვეყნისათვის. თუმცა, სამწუხაროდ სწორედ აქ, აღზრდის საკითხებში ხდება ყველაზე მეტი შეცდომის დაშვება. ბავშვის მიმართ განხორიციელებული ძალადობისას ხშირად თავს იმართლებენ, რომ ეს “აღზრდის მიზნით” გააკეთეს. ამგვარი გაგების მიხედვით გამოდის, რომ ბავშვი შეიძლება ფიზიკურად დაგსაჯოთ, აღზრდის მიზნით. სამწუხაროდ ამგვარი ტენდენცია, წარსულის გადმონაშთია. ადამიანები უმეტესად უარყოფენ, რომ მათ ძალადობა გამოიყენეს. ეს იმიტომ რომ საამისოდ “ლეგიტიმური” მიზეზები აქვთ. ისინი ბავშვების აღზრდაზე ზრუნავენ. არადა, ამ სიტუაციას ყურადღებით რომ დავაკვირდეთ და სამართლიანობის მხრივ რომ მივუდგეთ, ჩვენს წინაშე შემდეგი სურათი წარმოჩნდება: ძალადობა ჩვენი სიბრაზის,

ნერვების, მოუხერხებლობის, აჩქარების და წარუმატებლობის გამოხატულებაა, რაცას თან ახლავს ბავშვის ბუნების და მდგომარეობის არცოდნა და სწორი კომუნიკაციის არქონა.



ძალადობას, სხვადასხვა მხრიდან თუ შევხედავთ, მრავალი განმარტება შეიძლება ჰქონდეს. ამათგან ყველაზე მოკლე და მარტივ განმარტებას შემოგთავაზებთ: ეს არის განსხვავებული შეხედულების მქონეთა მომართ, ახსნა-განმარტების და მათი დარწმუნების მცდელობის მაგივრად უხეში ძალის გამოყენება.

ცოტა უფრო მეტი ყურადღებით მოვა-
კიდებით აღნიშნულ საკითხს, აღმოჩნდება,
რომ უხეში ძალის გამოყენება, როგორც
ძალადობის ყველაზე თვალსაჩინო ფორ-
მა მრავალგვარია და ჩვენ ამის შესახებ
მომდევნო თავებშიც ვისაუბრებთ. სამწუხა-
როდ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ასეთი
ნალოდინები და ნანატრი ბავშვები, ოჯახში
ან ოჯახს გარეთ ძალადობის მსხვერპლი
ხდებიან.

ბაგშვა. როგორც ძალადობას პირდაპირი შეხვერტენა


ჯაბაშვილი ძალადობა

როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ძალადობის ხსენებისას პირველად ფიზიკური ზეწოლა, ანუ ცემა გვახსენდება. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ სწავლა-აღზრდის მიზნით ბავშვები ხშირად ხდებიან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლი. ფიზიკური ძალადობის შემდეგ ზოგიერთი მშობელი ნანობს ამას, ზოგი კი დარწმუნებულია, რომ სწორად მოიქცა. მათი აზრით ბავშვის სწორად აღზრდისათვის ეს აუცილებელია.

თუ ბავშვი არ დაგვიჯერებს, ის ცემას იმსახურებს. თუ გაკვეთილებს არ სწავლობს ასევე ცემას იმსახურებს. თუ მმასთან იჩხუბა, ტყუილი თქვა ან მსგავსი არასწორი რამ გააკეთა ცემას იმსახურებს. თუ ვინმეს ქონება გააფუჭა ის უნდა გაილახოს. დიახ, უმრავლესობა სამწუხაროდ ასე ფიქრობს. არადა დღეს უკვე აღიარებულია, რომ ფიზიკური ძალადობის არცერთ ფორმას სწავლა-აღმზრდელობით სფეროში დადგებითი შედეგი არ მოაქვს. ამასთანავე, თუ დავაკვირდებით შუამაგლის ცხოვრებას, ცხადად მიგვანიშნებს, რომ ფიზიკური ზეწოლა მიუღებელი ფორმაა. ის, ყველას მიმართ შემწყნარებელი და გამგებიანი იყო. განსაკუთრებული და გამგებიანი იყო.

ძალადობა და ბავშვები

ბით კი ბავშვების მიმართ. ის ყოველთვის სიყვარულს და მზრუნველობას იჩენდა მათ მიმართ. ის ბრძანებდა: “ვისაც პატარები არ უყვარს და უფროსებს პატივს არ სცემს, ჩვენიანი არ არის”. (თირმიზი, ბირრ, 15)



შუამავალი ამას ბრძანებდა და თავისი ცხოვრებითაც შესაბამის მაგალითს იძლეოდა.

ერთხელ, ერთ-ერთი ბადის მეპატრონებ თნავარი ბავშვი, რაფი იბნი ამრი დაიჭირა, როცა ის ბადში ხურმის ხეებს ქვებს ესროდა და და მაშინვე შუამავალთან წაიყვანა.

რაფი, რატომ ესროდი ქვებს ხურმის ხეს? – ჰკითხა შუამავალმა ბავშვს.

მშიერი ვიყავი დვოის შუამავალო, მორცხვად უპასუხა ბავშვმა.

ხურმის ხეებს ქვები აღარ ესროლო შვილო, მაგრამ ძირს ჩამოცვენილი ხურმა შეგიძლია მიირთვა. – უთხრა შუამავალმა.

ამის შემდეგ შუამავალმა ბავშვს თავზე მოეფერა და ღმერთს სთხოვა, არ მოჰკლებოდა ამ ბავშვს საკვები. (იბნი მაჯე, თიჯარეთ, 67)

თუ დავაკვირდებით, შუამავალმა ბავშვის დადანაშაულებამდე ქცევის მიზეზი გამოიკვლია და ამის შემდეგ ალტერნატიული ქცევა შესთავაზა. ბუნებრივია, აქ ეს კონკრეტული ქცევა იგნორირებული არ არის და შესაბამისად არც წაქეზებული. ხეებზე ქვების სროლა აუკრძალა ბავშვს და ქცევის ალტერნატიული მოდელი შესთავაზა. ჩვენ ვალდებული ვართ ეს მაგალითი გავაანალიზოთ და სააღმზრდელო პრაქტიკაში დავნერგოთ. აქ აუცილებლად უნდა ვკითხაოთ საკუთარ თავს, თუ რას მოვიმოქმედებდით ამ კონკრეტულ შემთხვევაში თითოეული ჩვენგანი და მივხვდებით, ბავშვის აღზრდის საქმეში რამდენად შორს ან ახლოს ვართ შუამავლის მიერ დასახულ მიზანთან.

ბავშვი ბავშვია. რა თქმა უნდა ის შეცდომებით, მოსინჯვით, მცდელობებით სწავლობს. ამ პერიოდში, როცა ის ცხოვრებას სრულიად ახლად ეცნობა, მის მიმართ უხე-

ძალადობა და ბიურება

ში დამოკიდებულება და მითუმეტეს ძალადობა მხოლოდ და მხოლოდ მის გულისტკენას და დაკომპლექსებას გამოიწვევს, მეტი არაფერი. უფრო მეტიც, სასტიკი სასჯელები დროთა განმავლობაში “მიჩვევის ეფექტს” ავლენს და ზემოქმედება აღარ გააჩნია.



ზემოთ აღნიშნულ მაგალითში შუამავალი არათუ არ სცემს ბავშვს, არც კიცხავს და არც კი საყვედურობს. გამომდინარე აქედან, რა თვალსაზრისით აძლევენ თავს უფლებას მშობლები, როცა აღზრდის მიზნით ბავშვს სცემენ, ან თუნდაც აღმზრდელები, რომლებიც სხვის ბავშვებს სცემენ. მათ ქცევას არ აქვს შუამავლის სუნნეთს მხარდაჭერა.

ბავშვის ცემა მისთვის ჰქონდა მარტინ ლინკოლნის შესწავლას ხელს არ შეუწყობს. ცემა და სხვა ფიზიკური ძალადობა არასასურველ ქცევას მცირე ხნით თუ შეაჩერებს. თუმცა პრობლემას საბოლოოდ ვერ მოაგვარებს. უფრო მეტიც, ხშირად ბავშვი ვერც კი გაიგებს თუ რატომ სცემეს. ამგვარი უხეში ძალადობის ეფექტური შედეგი ბავშვის თვითრწმენისა და სრულფასოვნების შეგნების დაკარგვა იქნება.



ბავშვი, რომელიც მშობლებს უზომოდ უყვართ და თან სცემენ, როგორც მინიმუმ ეს ორი რამ ერთმანეთთან თანხვედრაში არ მოდის. ნაცემი ბავშვი ითრგუნება და მშობლების მიმართ ნდობას კარგავს.

როდესაც ფიზიკური ძალადობა ინტენსიური და გადაჭარბებულია, ამას ბუნებრივია უფრო ცუდ შედეგამდე მივყავართ. ხშირია შემთხვევა, როდესაც მშობლები ან სხვა, ბავშვის აღზრდით დაკავებული ადამიანები ამბობენ: “ ეს ბავშვი ისეთი უზრდელი და მოუთვინიერებელი გახდა, რომ ცემაც კი აღარ შველის”. ამგვარი მიღგომების მქონე ადამიანს შემდეგი საკითხი ავიწყდება: ბავშვი ცემის შემდეგ იმიტომ კი არ წყვეტდა კონკრეტულ არასასურველ ქცევას, რომ “აღიზარდა” ან თავის დანაშაულს მიხვდა, არამედ მას სურდა თავიდან აეცილებინა ცემის არასასიამოვნო და დამამცირებელი პროცესი. როგორც კი მიეჩვია ამას, ცემა მაშინვე არაეფექტური გახდა. გამომდინარე აქედან, ცემა ბავშვის სინდისსა და გაგებაზე დადგებითად არ მოქმედებდა და მისი ეფექტი ხანმოკლე იყო.

ანატოლიის ერთ-ერთ სოფელში მასწავლებლად ვმუშაობდი. ამ სკოლაში პირველად რომ გამამწესეს ჩემი მოსწავლეები დაწყებითი მესამე კლასის მოსწავლეები იყვნენ. მე ვცდილობდი მიმეცა მათთვის სათანადო ცოდნა, რათა ისინი არსებული ცხოვრების პირობებიდან უკეთესი ცხოვრებისთვის მომემზადებინა და ამასთანავე ვცდილობდი მათი პატივისცემა მომეპოვებინა. ერთხელაც კლასში რამოდენიმე მოსწავლეს, რომლებმაც მაწყენინეს, ვკითხე თუ

რატომ მოიქცნენ ასე. ერთ-ერთმა მოსწავლემ ხელი აიწია და თქვა: “შენ არ გვცემ, შენი არ ეშინიათ და ამიტომ იქცევიან ასე”. დიახ, ეს იყო სიმართლე. ცემას და დასჯას მიჩვეული ბავშვები იმ მასწავლებელს, რომელიც ამას არ აკეთებდა სუსტად თვლიდნენ. მაგრამ ისინი ხომ ბავშვები იყვნენ. მათ ხომ სუფთა ფურცლიდან უნდა ესწავლათ ყველაფერი და საამისოდ მომზადებული სუფთა გონება ჰქონდათ. არც თუ ისე დიდი ხნის შემდეგ ბავშვები მიხვდნენ და მიიღეს ის აღმზრდელობითი სისტემა, რომელიც სიყვარულსა და პატივისცემაზე იყო დამყარებული და რომლის დამკვიდრებას ვცდილობდი. როდესაც იქიდან მოვდიოდი ღმერთს ვთხოვდი შემდეგ მასწავლებელსაც იგივე დამოკიდებულება გაეგრძელებინა.

ბავშვი დაბადებიდანვე სიკეთისკენაა მიდრეკილი, რადგან ის ამ ბუნებითაა განჩენილი. თუ კარგ მაგალითებს ნახავს და მოთმინებით მოეპყრობიან კარგ რაღაცაებს ისწავლის და შეითვისებს. წარმოიდგინეთ მამა, რომელიც თავის მეგობარს ატყუებს და თან შვილს ეუბნება ტყუილი ცუდია, მერე კი, როცა შვილიც მოიტყუებს მას სცემს. აქ რამოდენიმე ქცევაა მცდარი. ამათგან უპირველესია ცუდი მაგალითის მიცემა. არც რჩევას აქვს შედეგი, როცა შესაბამისი კარგი მაგალითით არაა გამყარებული. შემდეგი შეცდომა კი რა თქმა უნდა ცემაა.

გალახული ბავშვი ფსიქოლოგიურად ითრგუნება, კარგავს საკუთარი თავის რწმენას, იკეტება თავისთავში და თვითონაც გარემოს მიმართ აგრესიული ხდება. კვლევებით დადგენილია, რომ ძალადობას ვინც მიმართავს, ის თავად იყო ძალადობის მსხვერპლი. ასეთი ბავშვები სახლში დებთან და ძმებთან აგრესიული არიან და სცემენ მათ, სკოლაშიც მეგობრებთან და ზოგჯერ მასწავლებელების და მშობლების მიმართაც ამჟღავნებენ აგრესიას. ძალადობა დანახვის შედეგად ისწავლება. ბავშვი სწავლობს, რომ როდესაც მისთვის სასურველი რამ არ ხდება, როდესაც ბრაზდება, როდესაც სასურველის მიღწევა სურს ძალა უნდა გამოიყენოს. უკვე შეიძლება ითქვას, რომ ძალადობა თაობიდან თაობას გადაეცემა.

ცემა არ არის სამოთხისეული. თუ არის, თავისი ნებით არ გამოსულა იქიდან. ალბათ გამოაძავეს. ჩვენ აუცილებლად უნდა შევცვალოთ მიღგომები. აუცილებლად მეტი უნდა ვიფიქროთ იმის თაობაზე, თუ რა სიტუაციაში როგორ მოვექცეთ ბავშვებს. თუ კონკრეტულ პრობლემასა და სიტუაციას თავს ვერ ვაბამთ ამ საქმის პროფესიონალი უნდა დავიხმაროთ. უფრო მომთხენი და გაგებული უნდა ვიყოთ. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ერთ დროს ჩვენც ბავშვები ვიყავით. უნდა გავიხსენოთ ჩვენი მისწრაფებები, სურვილები, ოცნებები, რაზე

გვწყინდა და რა გვიხაროდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვებს ვერ გავუგებო. სასურველია ჩვენში მძინარე ბავშვი გავადგიძოთ.

“მე როდესაც ბავშვი ვიყავი შცდომებზე ვისწავლე, მაგრამ ახლა ვიცი როგორია სწორი და ამიტომ ჩემმა შვილმა შეცდომა არ უნდა დაუშვას.” ეს არის მოდელი, რითიც ძირითადად მშობლები ხელმძღვანელობენ, მაგრამ ეს მცდარი მიღვომაა, რადგან ხშირ შემთხვევაში ბავშვისთვის სწორი ქცევის მიგნება შეცდომების დაშვებითაა შესაძლებელი. ბავშვის მცირე შეცდომებს მშობლებმა კარგი მაგალითები უნდა დაუპირისპირონ და ეს უფრო მეტი შეცდომებისგან დაიცავს ბავშვს. ამ დროს ზემოთ განხილული მაგალითი, რომელიც შუამავლის მიერ ბავშთან მოპყრობას ეხებოდა, აუცილებლად სასარგებლოა. შუამავალმა ჯერ ქცევის მიზეზი გამოიკვლია და ამის შემდეგ შესაბამისი ალტერნატიული ქცევა შესთავაზა. რაც მიუღებელი იყო აუხსნა და რა შეიძლებოდა ისიც შესთავაზა.

ფიზიკურ ძალადობას არანაირი გამართლება არ აქვს. ხშირად მშობლები თავს იმართლებენ და ამბობენ, რომ ნერვებისგან თავს ვედარ თოკავენ, ვერ იომენენ და სხვა. ასეთ მშობლებს უნდა ვკითხოთ: ვთქვათ პატარა ბავშვა კი არა შენზე გაცილებით

ძლიერმა, ზრდასრულმა ადამიანმა გაგაბრაზათ, რეაქცია იგივე გექნებოდათ? უნდა გვახსოვდეს, რომ ცემას ბავშვის შეცდომა კი არ იწვევს, არამედ –ჩვენი სისუსტე-რადგანაც პრობლემას ვერ ვაგვარებო და საამისო ძალა არ შეგვწევს, უხეში ძალის გამოყენებით გვინდა ერთი ხელის მოსმით აღვკვეთოთ არასასურველი ქცევა. არადა უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვები ჩვენთვის ღმერთის მიერ მობარებული ამანათები არიან და ასევე არ უნდა დავივიწყოთ, რომ მათდამი ასეთი სასტიკი მოპყრობა მომავალში უარყოფით ზეგავლენას იქონიებს.

ბინას შაშტო უსაქოლოებაზე ზენოლა

ფსიქოლოგიურ ზეწოლაში ბავშვის გაკიცხვა, დამცირება, შეშინება, დამუქრება და მსგავსი სახის ქცევის გამოვლინებები იგულისხმება.

ბავშვის მიმართ ფსიქოლოგიური ზეწოლის უმთავრესი მიზეზი შეიძლება იყოს აზრი, რომ მშობელი, როგორც წესი ბავშვის პატრონია. არადა ბავშვი როგორც აღვნიშნეთ ამანათია და მშობლების მოვალეობაა ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ჯანსაღი აღზარდონ, რადგან ოჯახისა და საზოგადოებისთვის სასარგებლო პიროვნება იყოს.

ძალადობა რომ მხოლოდ ცემა არ არის ამაზე უკვე ვისაუბრეთ. არსებობს მრავალი სახის ძალადობის ფორმა, რომლებიც ბავშვის სულში დრმა იარებს ტოვებს და მის განვითარებაზე უარყოფითად მოქმედებს. გამომდინარე აქედან, ბავშვი, რომელიც არ გაულახავთ შესაძლებელია, რომ სხვა ფორმით იყოს ძალადობის მსხვერპლი.



“თუ ასე არ იზამ აღარ მეყვარები” ან “დღეიდან შენი დედიკო აღარ ვარ” ეს და ამგვარი სახის მუქარის დროს, მშობლებმა ხშირად არც კი იციან რა უარყოფით ემოციაბს აღძრავენ ბავშვის სულში. შეიძლება მშობელს უხარია კიდეც, რადგან ამის თქმისთანავე ბავშმა სასურველი ქცევა გამოამჟღავნა. თუმცა, აუცილებელია ყოველი დედა დაფიქრდეს, სანამ ბავშვს, ერთი

შეხედვით, ასეთ უწყინარ რამეს დაემუქრება, რადგან ბავშვისთვის იმის გააზრება, რომ დედას შეიძლება აღარ უყვარდეს ან მიატოვოს ძალიან უარყოფით გავლენას ახდენს.

ადამიანის დადანაშაულება, გაკიცხვა და “შენ ასეთი ხარ” წამოძახება ძალიან ადგილია. ამიტომაა რომ უმეტესობა სწორედ ასე იქცევა. მითუმეტეს ეს ადგილია უმწეო ბავშვებთან. თუმცა ასეთი მიდგომა რომ არასწორია, ეს ცხადზე ცხადია. ამ საკითხშიც შუამავლის ცხოვრების მაგალითად აღება გვმართებს. ასე მოქცევის შემთხვევაში არათუ ბავშვებთან ურთიერთობაში აღარ დავუშვებოთ შეცდომებს, არამედ ზოგადად ცხოვრებასაც გავიოლებთ. ახლა კი ენესის მიერ გადმოცემული ამბავი მოვისმინოთ:

“ათი წელი შუამავალს ვემსახურებოდი. ამ ათი წლის განმავლობაში ჩემთვის უხეშად არასოდეს მოუმართვას. არცერთხელ უთქვამს: “ასე რატომ გააკეთე? ასე გაგრავებინა.” არასოდეს არაფრის გამო არ უსაყვედურია. ის ყველაზე მაღალი ზნეობის ადამიანი იყო. ერთხელაც რაღაც საჭმეზე გამგზავნა. ვერ წავალ მეთქი შევპადრე, არადა გული იქ წასვლას მეუბნებოდა. მე გარეთ გავედი. გარეთ ბავშვები თამაშობდნენ. მათთან მივედი და თამაშში ჩა-

ვერთე. ამ დროს შუამავალი მომიახლვდა, იღიმებოდა. ენეს, მე რომ გითხარი წახვედი იქ თუ არა?- მკითხა. დიახ, ახლა მივდიდოდი, ვუთხარი და იქ წავედი სადაც მითხრა. (მუსლიმ, ფედაილ, 51, 53, 54)


ამ ამბიდან ჩანს, რომ შუამავალი ბავშვების მიმართ ძალიან ლოიალური იყო. ის ბავშვების ამგვარ ქცევებს გაგებით ხვდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ენესი შუამავლის მიერ ნაბრძანებ ადგილას არ წავიდა, შუამავალმა ის არ გაკიცხა, არ უსაყვედურა, არ დასაჯა. ეს მისი სამაგალითოების და მაღალი ზნეობის გამოხატულება იყო. შესაბამისად, მსგავს სიტუაციაში ყველა მორწმუნე შუამავლის მსგავსად უნდა მოიქცეს. ჩვენ ამგვარი ქცევები უნდა გადმოვიდოთ და გავითავისოთ და არა ისე, რომ განვადიდოთ და მიუღწევლად ჩავთვალოთ.

საბოლოო ჯამში არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბავშვები შეცდომებზე სწავლობენ, ხშირად ონავრობენ და ეს ყველაფერი მათ ასაკში ნორმალურია. შეიძლება ქცევები არ მოგვეწონოს, მაგრამ ბავშვებს უნდა გავუგოთ. შეიძლება არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც ფიქრობენ, რომ თუ ბავშვებს კარგად მოვაჭროვით ისინი შეიფერებენ და გათამამდებიან. ეს მართალი იქნება იმ შემთხვევაში თუ ჩვენი მდგომები ზედმეტად ლოიალური იქნება და საერთოდ

ხელს მივუშვებთ. ბუნებრივია თუ ბავშვს არანაირ წესს და შეზღუდვას არ დავუწესებთ, ეს მას გაათამამებს, პასუხისმგებლობის გრძნობას დაკარგვინებს და შესაბამისად საზოგადოებაშიც უპასუხისმგებლობა ამპარტავანი იქნება. აქ კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ ზემოთ წარმოდგენილი ამბავი, სადაც ბავშვი ხურმის ხეს ქვებს ეხროდა. შუამავალმა ხურმის ხისთვის ქვების სროლა აუკრძალა, მაგრამ მაშინვე ალტერნატიული ქცევის მოდელი შესთავაზა. ამ პროცესში არ ყოფილა არც გაკიცხვა და მითუმეტეს არც ძალადობა. ამ მეთოდს თანამედროვე პედაგოგიკაც აღიარებს.

დაცინვა და დამამცირებელი კომენტარებიც ერთგვარი ძალადობაა. “დებილი ხარ”, “არაფრის მაქნისი ხარ” ეს და სხვა მსგავსი დამამცირებელი შეფასებები ბავშვს არასრულფასოვნების კომპლექსს ჩამოჟეალინებს. სისტემატიურად ასეთი ეპითეტებით შემკობა ბავშვს დაარწმუნებს, რომ მართლაც ისეთია. არადა მშობლები მართლა სულელად კი არ თვლიან შვილს. მშობელი უბრალოდ გაბრაზდა და ამიტომ უთხრა შვილს, მაგრამ ბავშვი ამას ვერ მიხვდება. მან შეიძლება მალე დაიჯეროს ეს ყველაფერი, რადგან ამას მშობელი უუბნება. ბავშვი ამ დროს ფიქრობს, რომ რახან არაზადა, სულელი, არაფრის მაქნისია, გამოდის რომ არც დასაკარგი აქვს რამე და უფრო

თავისუფლად აგრძელებს იგივენაირ ქცევას. ამგვარი მიღგომებისგან წარმოშობილი პრობლემები ბევრ ოჯახში შეინიშნება და თუ დავაკვირდებით ჩვენს ირგვლივაც აღმოვაჩენთ.



შეიძლება ასეთი აზრი დაგვებადოს: მოქლი დღეები შრომაში ვართ, დილიდან საღამომდე, ვიღლებით, ხშირად ისეთი სიტუაციაა სტრესი გარდაუვალია, ცხოვრება არ არის ვარდისფერი ყოველთვის მხიარული და ლმობიერი ხომ ვერ ვიქნებით. ადამიანი მუდმივად როგორ შეიკავებს თავს რომ არ გაბრაზდეს და ბავშვებს ქცევა არ დაუშუ-

ნოს, არ უსაყვედუროს, არ გაკიცხოს. ეს ყველაფერი სიმართლეა, მაგრამ გაბრაზებისას ცემა-ტყეპა, ყვირილი, ძალადობა არის მიუღებელი და შედეგიც ყოველთვის უარყოფითი აქვს. მშობელი შეიძლება დაიღალოს, მთელი დღის მანძილზე ბევრი სტრესი და ნერვიულობა გადაიტანოს, ასევე შეიძლება ბავშვის ქცევაზეც გაბრაზდეს. ამ მდგომარეობაში ყველაზე უკეთესი გამოსავალია ბავშვს ვუთხრათ თუ როგორი წყენა მოგვაყენა მისი ქცევით და არა ისეთი რამ გავაკეთოთ, რომ სახლში ტერორი და ძალადობა დავასადგუროთ.

მაგალითად, საღამოს სახლში სამსახურიდან მოსული დაღლილი დედა ხედავს, რომ მთელი სახლი არეულ-დარეულია. ის იწყებს ბავშვების ლანძღვას და საყვედურობს, რომ ის არ არის მოსამსახურე, სულ რომ მათ არეულ სახლს ალაგებს, ასეთი უთავბოლო და უზრდელი ბავშვები რომ ყავს უბედურია. ამგვარი პრიდაპირი “შენ” მიდგომა და პირდაპირი ლანძღვა ადეკვატურ რეაგირებას არ იძლევა და ბავშვები ამას შესაბამისად არ აღიქვამენ. შეიძლება თავის დაცვის რეჟიმში გადავიდნენ და არასასურველი ქცევის გამართლება სცადონ. ეს კი ისედაც გაბრაზებულ დედას უფრო მეტად გაანერვიულებს. ამის მაგივრად, როცა ასე დაღლილმა ასეთი არეული სახლი ნახა, რა იგრძნო და როგორ

იმოქმედა მასზე, რომ მოუყვეს ბავშვებს, ეს უფრო ეფექტური იქნება. მაგალითად, დღეს მთელი დღეა მუხლჩაუხერელი ვშრომობ, ძალიან დავიდალე და ვნატრობდი, სახლში რომ მივალ იქნებ სახლი წესრიგში მაინც იყოს მეოქი. ამ ყველაფრის დანახვაზე კი გული მეტკინა და გავბრაზდი. ასეთ შემთხვევაში დედა თან უსაყვედურებს ბავშვებს და თან საკუთარ ემოციებს გადმოსცემს. ეს კი უფრო იოლი და პირდაპირი გზაა ბავშვების გულებისკენ. ზოგჯერ ბავშვების ადგილას უნდა წარმოვიდგინოთ თავი. როცა ვინმე უხეშად და ყვირილით მოითხოვს რამის გაკეთებას, ჩვენც ვბრაზდებით. ბავშვები კი უფრო ეგოცენტრულები არიან და მხოლოდ იმის გაკეთება სიამოვნებთ, რაც მათ სურთ. როდესაც დედა ამბობს, რომ მას არ სურს არეულს სახლში იცხოვოს და ამის გამო უბედურია, ის ამ შემთხვევაში ბრძანებას არ იძლევა. ბავშვი ასე უფრო გაიგებს სიტუაციის არსეს და მცირე ხნის გასვლის შემდეგ სახლის დალაგებას თავად დაიწყებს. ამრიგად ბავშვი თვითონ გადაწყვეტს, რომ სახლი დასალაგებელია და უნდა დაალაგოს. ეს კი ორივე მხარისთვის სასურველი ქცევაა.

გაბრაზების შემთხვევაში უარყოფითი განვითარების თავიდან აცილების კიდევ ერთი მეთოდი გაჩუმებაა.

“თუ კი ძალიან გაბრაზდებით და ამ დროს ფეხზე დგახართ, დაჯექით. თუ გაბრაზებამ არ გაგიარათ, წამოწექით.” (აჭმედიშვილი, მუსნედი, 5, 152)

შუამავლის ეს შეგონება მხოლოდ ზრდასრულებთან მოქცევისას კი არა, ბავშვებთან ურთიერთობისასაც უნდა გამოვიყენოთ. კარგად მოქცევას ყველაზე უკეთ ბავშვები იმსახურებენ. ისინი ხომ ღმერთის მიერ მობარებული ამანათები არიან.

ბავშვის აბაზანაში, საპირფარეშოში ან სადმე ბნელ ადგილას ჩაკეტვა ძალადობის კიდევ ერთი გამოხატულებაა. ამგვარი მეთოდით ბავშვის აღზრდის მცდელობა-თუ მიზანი ნამდვილად ბავშვის აღზრდაა- გადაჭარბებული ქცევაა და ძირითად მიზანს დიდად სცდება. გარდა ამისა, ბავშვი შეიძლება შეშინდეს და ფსიქიკური პრობლემები შეექმნას. ყველა ის განმარტება, რაც ფიზიკური ძალადობის ანუ ცემის საწინააღმდეგოდ წარმოავადგინეთ, ეხება ამ უკანასკნელ საქციელსაც. ბავშვის სადმე ჩაკეტვა შეცდომის გააზრებასა და გამოსწორებაში ვერანაირ წვლილს ვერ შეიტანს. ამას შეიძლება დროებითი ეფექტი აღმოაჩნდეს, რადგან ბავშვს იგივე სასჯელის შეეშინდება და დროებით თავს შეიკავებს, მაგრამ ხანგრძლივი და რეალური შედეგი ამას არ მოყვება. შეიძლება ბავშვი შეეჩიოს კიდეც

ამ სასჯელს და საერთოდ აღარც პქონდეს რეაგირება. ასეთ შემთხვევაში ბავშვი არა-თუ გააგრძელებს იგივენაირად მოქცევას, არამედ უფრო წინ შეიძლება წავიდეს. ბუნებრივია ამ დროს მშობლების პრობლემები უფრო გართულდება.



ბავშვებთან ურთიერთობისას ლმობიერი დამოკიდებულება ბავშვის სულიერად და ფიზიკურად ნორმალურ მდგომარეობაში აღზრდას ხელს შეუწყობს. ასევე სასარგებლოა ის სწავლის შეძენის პროცესისათვის. ამ ნაშრომში ბავშვებთან მოქცევის ლმობიერ მეთოდებზე საუბრის გარდა შუამავლის ცხოვრებიდან მაგალითებიცაა მოყვანილი, რომლებიც აღნიშნულ მეთოდს ამყარებს. ერთხელ შუამავალს უსამე

ბინ ზეიდი და საკუთარი შვილიშვილი პასანი ეჯდა კალთაში. შუამავალმა ღმერთს სთხოვა: “ღმერთო შეიძრალე ეს ბავშვები, გინაიდან მე ისინი მებრალებიან”. (ბუჭარი, ედეფ, 22)

სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი თაობა რომ გვყავდეს და საბოლოო ჯამში ჯანსაღი და კარგად აღზრდილი პიროვნებებისგან შემდგარი საზოგადოება შევქმნათ, ამისათვის საჭიროა ბავშვები ყოველგვარი ძალადობისგან დავიცვათ. უპირველეს ყოვლისა ჩვენ არ უნდა ვიძალადოთ მათ მიმართ. საამისოდ კი საჭიროა ვიცოდეთ კონკრეტულად რომელი საქციელი ითვლება ძალადობად. დამცირება, გრძნობებზე ზემოქმედება, როგორც ძალადობის ფორმა ქვემოთ იქნება განხილული და ოქვენ შეძლებთ საკუთარ ქცევებში განსაზღვროთ რამდენად მიდრეკილნი ხართ ძალადობის მიმართ. უფრო მეტიც, თქვენ თვითონ შეგიძლიათ შექმნათ საკუთარი ქცევების ჩამონათვალი და შესაბამისად დაალაგოთ. ამით უკვე ოქვენ აღიარებთ, რომ მცდარი მიდგომები გქონდათ და ეს უკვე მდგომარეობის გამოსწორებისთვის გადადგმული პირველი ნაბიჯია. ამის შემდეგ კი რჩება ცოტაოდენი მოთმინება, მონდომება და ყურადღება.

ემუცაური ზენოლის შედელითება

ქმარზე გაბრაზებული ცოლი ხშირად ბავშვს სჯის და უყვირის ან პირიქით, ქმარია ცოლზე გაბრაზებული და ბავშვს სჯის.

ბავშვების თანდასწრებით მეუღლის სისტემატიური კრიტიკა,

ბავშვებთან წეწუნი იმის თაობაზე, რომ მეუღლე ცუდად იქცევა.

ბავშვებზე მეუღლესთან არსებული პრობლემების შეჩივლება და მათი მესაოდუმლედ გახდა.

მაგალითად ბავშვებზე შემდეგი სიტყვების თქმა: “შვილებო, ხომ ხედავთ მამათქვენი როგორ მექცევა. ის ყველას მიმართ უსამართლოა. თქვენ რომ არ იყოთ ამ ადამიანთან ერთ დღესაც არ გავჩერდები. ხოდა თქვენ მაინც ნუ გამაბრაზებთ და ნუ მაწყენინებთ.”

ერთხელაც იქნება დარდისგან მომკლავთ.

ნეტა მოვკვდებოდე და მამამ ახალი დედა მოგიყვანოთ. მერე ნახავთ თქვენ რაც მოგივათ. მერ ემომძებნით, მაგრამ ვეღარ მომაგნებოთ.

რამდენს ვწვალობ და ვჯახირობ თქვენთვის, თქვენ კი რას აკეთებოთ, რას გავს თქვენი საქციელი?

თუ ასე არ გააკეთებ და არ დამიჯერებ აღარ მეყვარები. წავალ და სხვა ბავშვის დედა ვიქნები.

ნახე მეზობლის ბავშვი რა კარგია. ვი- ყურებ და მშურს, რა კარგი შვილები ყავო სხვებს.

რომ ისწავლოთ და წარმატებულები იყოთ დილიდან საღამომდე გაუჩერებლად ვშრომობ, თქვენ კი რას აკეთებთ.

შენი სწავლისთვის დახარჯული ფულით ახალ ბიზნესს წამოვიწყებდი. უნდა იშრო- მო და წარმატებული იყო. ვალდებული ხარ.

შენ რა გაუგებარი და შეუსმენელი ბაშ- ვშვი ხარ!

შეხედე შენს ძმას, ის შენსავით იქცევა? ნახე რა ჩკიიანია ჩემი ბიჭი. ნეტა შენც მისი ნახევარი ჭკუა მაინც გქონდა.

ყოველი უარყოფითი შინაარსის შეფასე- ბა ემოციური ზეწოლის ელემენტებს შეი- ცავს. სულელო, რეგვენო, დებილო და სხვა მსგავსი წამოძახებები ემოციური ზეწოლის მაგალითებია.

ემოციური ზეწოლის თემა შემდეგი აღწე- რით უნდა დავასრულო:

თუ ბავშვს სისტემატიურად ვაკრიტიკებთ

დაწუნებას და კრიტიკას ისწავლის
თუ სიძულვილის გარემოში გავზრდით,
ჩხერის და კონფლიქტს ისწავლის
თუ დავცინებთ და დავამცირებთ,
მორწყებები და კომპლექსიანი გახდება
მუდმივათ თუ შევარცხვენთ
თავის დადანაშაულებას ისწავლის
თუ ბავშვს ლმობიერად მივუდგებით,
მოთმინებას ისწავლის.
თუ მხარს დავუჭროთ და გავამხნევებთ,
საკუთარი თავის რწმენას გამოიმუშავებს
თუ მოვუწონებთ ქცევას
თანხმობას ისწავლის
თუ სამართლინად მოვექცევით,
სამართლინი იქნება.
თუ ოჯახში მეგობრობას და ჰარმონიას
ხედავს,
ბედნიერებას ისწავლის.

ნუკლიულის უარყოფითი გოლიების ბავშვებზე

ყველა იმ ძალადობის ფორმებს შორის აღსანიშნავია რეკლამა, რომელიც ბავშვებზე უარყოფით გავლენას ახდენს. ძალადობის ამ ფორმას არ განვიხილავთ, როგორც ფიზიკური ძალადობის ელემენტების მატარებელს. ამ მიმართულებით შემდეგ თავებში იქნება განხილვა, სადაც საუბარი იქნება მასმედიის-გან მომდინარე ძალადობის შესახებ.

არსებობს ისეთი სახის რეკლამები, რომლებიც პირდაპირ ბავშვებს მოუწოდებენ ამა თუ იმ ნივთის თუ საკვების შეძენას. რეკლამის შინაარსი გულისხმობს, რომ ამ ნივთის გარეშე ცხოვრება უინტერესოა და ამგვარი რეკლამა ამ კონკრეტული ნივთის შეძენის დიდ სურვილს აღძრავს. ამგვარი რეკლამები ჩააგონებს ბავშვს, რომ კონკრეტული ნივთი უზომოდ სასურველია და ბუნებრივია ბავშვს მისი დაუფლების სურვილი უჩნდება. აქ უკვე ბავშვი ვეღარ ხვდება რა არის საჭიროება და რა -ფუფუნების საგანი. ბავშვს სურს სასურველი ნივთი და რახან ვერ ეუფლება ეს თრგუნავს მას, უჩნდება დაუკმაყოფილებლობის გრძნობა და პროტესტი. გარდა ამისა, ბავშვი თავის ოჯახთან კონფლიქტში შედის, რადგან როგორ წესი, მშობლებმა შეიძლება ვერ შეუძინონ ყველა ის ნივთი, რასაც ბავშვი მოისურვებს.

თუ დავაკვირდებით რეკლამებს და მათ რაოდენობას, უკეთ მივხვდებით, როგორ თავს ესხმის ეს რეკლამები ბავშვის გონიერებას.



გარდა ამისა ამგვარი რეკლამები ბავშვები იწვევენ შეძენისა და დაუფლების მდაფრი მოთხოვნილების ჩამოყალიბებას, რაც კონკრეტული მიმართულებით სერიოზული პრობლემაა. ამ ყველაფრის შედეგად მივიღებთ ადამიანის ტიპს, რომელსაც ცხოვრების ერთადერთ მიზნად შეძენა-დაუფლება გაუხდია, რომელსაც მუდმივად რაღაც აქვს შესაძენი და საერთოდ არ აინტერესებს ის

ადამიანები, რომლებსაც მასთან შედარებით ნაკლები შესაძლებლობები გააჩნიათ. მას სურს, რომ პქონდეს ყველაფერი.

ხშირია შემთხვევები, როცა ზრდასრულ ადამიანებზე გათვლილი რეკლამებიც შეიცავს ისეთ მესიჯებს, რომლებიც პირდაპირ ბავშვებზე ზემოქმედებს. რეკლამის მკეთებლებმა კარგად იციან თუ როგორ იმოქმედონ ბავშვის გონებაზე. მათი ადრესატია გათამამებული ბავშვი, რომელიც მუდმივად უკმაყოფილოა და მშობლებიც მუდმივად ცდილობენ დააკმაყოფილონ მისი ახირება.

რეკლამებისგან მომდინარე ამ უარყოფითი ზეგავლენებისგან ბავშვების დასაცავად რამოდენიმე სახის რჩევა შეიძლება მოგაწოდოთ:

ბავშვების უურადღება სხვა თემაზე უნდა გადავიტანოთ. სინამდვილეში რაც არ უნდა გავაკეთოთ ბავშვებს მთლიანად ვერ ჩამოვაშორებთ რეკლამას, ამიტომ რეკლამის შესახებ სინამდვილე უნდა გავაგებინოთ და საქმის დედააზრი გავაცნოთ. მათ უნდა შეეძლოთ გაუმჯობესებენ ამ ტიპის ცდუნებებს. ასევე უნდა იცოდნენ განასხვავონ რა არის საჭიროება და რა ჩაეთვლებათ ზედმეტ დანახარჯში. რეკლამა მხოლოდ კონკრეტული საქონლის შესახებ ინფორმაციას არ შეიცავს. მასში არის ელემენტები, რომ-

ლებიც გვარწმუნებენ, გვხიბდლავენ. ადამიანი სისტემატიურად ერთი და იგივე რამის მოსმენისას იდებს მას, როგორც ჭეშმარიტებას. ბავშვები კი უფრო იოლად იჯერებენ. მათზე ზემოქმედება უფრო იოლია.

ბავშვი ძალადობის შინაგანი

ბავშვი როგორიც იჯავილი ძალადობის შინაგანი

ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, ოჯახის ნებისმიერი წევრის მიმართ წარმოებული ძალადობის დროს, ბავშვი როგორც მინიმუმ იმდენად ზარალდება, რამდენადაც ის ადამიანი ვის მიმართაც მიმართულია კონკრეტული ძალადობა. მშობლები ვალდებული არიან ბავშვი საიმედო და უსაფრთხო გარემოში იყოლიონ, მაგრამ თუ ისინი ჩეუბობენ ან ერთი ოჯახში რომელიმე წევრის მიმართ ხორციელდება ძალადობა, ბავშვი ამას ძლიერ განიცდის. ბავშვს უჩნდება შიში, რომ შეიძლება მშობლები გაშორდნენ და რომელიმე მათგანი დაკარგოს.

ბავშვი, რომელიც ძალადობის მოწმე ხდება ძალადობას სწავლობს. ზოგჯერ კი ძალადობას ბუნებრივად აღიქვამს და პროტესტი აღარ უჩნდება. ძალადობის მოწმე-

ძალადობა და ბავშვები

ობა ერთის მხრივ მორცხვსა და პასიურს ხდის, ხოლო მეორეს მხრივ თვითონაც აგრესიული და მოძალადე შეიძლება გახდეს.



ოჯახის ერთი წევრის მიერ სხვა რომელიმე წევრის მიმართ განხორციელებული ძალადობა, სიტყვიერი იქნება ეს თუ ფიზიკური, სისტემატიური დამცირება, კრიტიკა, გაკიცხვა და სხვა, იმ ოჯახში მცხოვრები ბავშვისთვის დიდი უბედურება და უიდბლობაა. ამგვარ ოჯახებში მუდმივი დაძაბულობა და უსიამოვნო გარემოა. ბავშვი სულ შიშშია. ნეტა რა არ მოეწონება მამას? ნეტა ამის გამო ისევ ხომ არ იჩეუბებენ? ბავშვის ამგვარი მუდმივი სტრესისა და დაძაბულო-

ბის ქვეშ ცხოვრება რა თქმა უნდა ცალკე ძალადობაა. გამომდინარე აქედან, ოჯახში წყვილებს შორის არსებული სიყვარული, პატივისცემა, კარგი და თბილი დამოკიდებულება, ერთომეორეზე ზრუნვა და თანადგომა მხოლოდ მათი ბედნიერებისა და ერთად ყოფნისათვის კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ ეს ყველაფერი მათი შვილების ბედნიერების, კარგად აღზრდისა და წარმატებულობის საქმეში გადამწყვეტი როლის მატარებელია.

ბავშვი შახმატის ზეგველების ჭეშ

მედია ძალიან ფართო მნიშვნელობის სიტყვაა. მასში მოიაზრება რადიო, ტელევიზია, გაზეთი, ინტერნეტი და სხვა მსგავსი საშუალებები. ამ საშუალებებთაგან, დღეისათვის ბავშვები ყველაზე მეტად ტელევიზორსა და ინტერნეტს მოიხმარენ.

ტელევიზორი თჯახის წევრებისათვის, როგორც წესი, “ელექტრონული მეგობარია”. ხშირად არც ვუყურებთ, მაგრამ მაინც ჩართულია. შესაბამისად ბავშვები თითქმის მუდმივად ჩართულ ტელევიზორთან არიან.

გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ტელევიზორზე სისტემატიური ყურება ბავშვის

განვითარებაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს, თუნდაც ძალადობის ამსახველი კადრები არ შექმნავდება. ბუნებრივია, როცა კარგად ჩავუდრმავდებით ტელევიზორის საკითხს, მივხვდებით, რომ რაღაც დოზით თითქმის ყველა გადაცემაშია ძალადობის ელემენტები. ძალადობის ერთიანი ხაზი გადის, თითქმის ყველა ტიპის გადაცემაში. თუნდაც საბავშვო მულტფილმები იყოს, სერიალები, კინოფილმები და სხვა. შეიძლება ბავშვი პირდაპირ არ იჯდეს ტელევიზორთან და არ უყურებდეს, მაგრამ ჩართულ ტელევიზორთან ყოფნაც საკმაო ზეგავლენას ახდენს.

1994 წელს ჩატარდა კვლევა, რომლის მიხედვითაც დაიდო დასკვნა:



“ოჯახებში ბავშვები დღეში საშუალოდ 3 საათს უყურებენ ტელევიზორს. ამას ემატება შაბათი-კვირა, როცა ტელევიზორის ყურება ზოგადად უფრო ინტენსიურია. ოცდაოთხი საათიანი პერიოდის განმავლობაში თუ ძილის დროსაც გამოვაკლებთ, გამოდის, რომ ბავშვები დროის ერთ მესამედს ტელევიზორთან ატარებენ. თურქული ტელევიზიის თითქმის ყველა გადაცემაში ძალადობა და დანაშაულის ჩვენების მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია. ზრდასრულები ტელევიზორის ყურებისას ბავშვებს არც ზღუდავენ და არც მიმართულებას აძლევენ. არც იმას აანალიზებენ ბავშვებთან ერთად, რასაც უყურებენ. ბავშვები არამარტო დღის საათებში, არამედ საღამოობით და ღამის საათებშიც დიდ დროს ატარებენ ტელევიზორებთან.”

გამომდინარე აქედან, ბავშვები ტელევიზორისგან მომდინარე ყველა უარყოფითი ეფექტის ზეგავლენის ქვეშ არიან.

იბადება კითხვა: ძალადობის ამსახველი გადაცემებისგან მომდინარე უარყოფითი გავლენა, როგორც მოქმედებს ბავშვებზე?

ამ მხრივ მრავალი კვლევაა ჩატარებული და ყველა მათგანს ერთი საერთო გადაცემის წერტილი გააჩნია. ბავშვები ძალადობის შემცველი გადაცემების ყურებისას უარყოფით ზეგავლენას განიცდიან. ძალა-

დობის შემცველი გადაცემების ყურება წყნარი ბუნების ბავშვებში ჩაკეტილობას და შიშის მიმართ მიღრეკილებას აყალიბებს. ნერვიული ბავშვები კი აგრესიულები და მოძალადები ხდებიან. მათ უჩნდებათ სურვილი მეგობრების მიმართ იგივე გააკეთონ, რაც ტელევიზიონით ნახეს. გამოდის, რომ ტელევიზია ადამიანებზე პიროვნული მიღრეკილებების მიხედვით მოქმედებს. გარდა ამისა, ის ბავშვები, რომლებიც სისტემატიურად ოჯახურ კონფლიქტებს ესწრებიან, სადაც კამათი, შეურაცხყოფა და ჩხუბი ნორმალურად მიიჩნევა, ძალადობის გამოვლინების მიმართ უფრო მიღრეკილნი არიან და ტელევიზორში დანახული ძალადობის ფორმების პრაქტიკაში განხორციელებას უფრო ხშირად ისინი ცდილობენ.

მცირეწლოვანი ბავშვების მიერ ძალადობის გამომხატველი კადრების ყურება სხვა მხრივაც სახიფათოა. ბავშვები გარკვეულ ასაკამდე რეალურ და არარეალურ სიტუაციებს ვერ განასხვავებენ. ამიტომ არის, რომ ხშირად ოცნებებს ისე ყვებიან, როგორც სინამდვილეს. დედები კი ამ დროს ნერვიულობენ, რადგან ფიქრობენ, რომ ბავშვები ტყუილს ლაპარაკობენ. ბავშვის გადმოსახვედიდან მდგომარეობა განსხვავებულია. მას მისი საკუთარი სიმართლე გააჩნია და ყვება იმას რაც მისთვის სიმართლეა. ბავშვი რეალობის აღქმას დაახლოებით შვი-

დი წლიდან იწყებს და შესაბამისად უფრო მცირებლოვანი ბავშვებისთვის ტელევიზორში ნანახი ძალადობის შემცველი გამოსახულების ახსნა შეიძლება სასასრგებლოა, მაგრამ საკმარისი არ არის. ბავშვს ჯერ უფლებას ვაძლევთ ასეთ გადაცემებს უყუროს, მერე კი ვეუბნებით, რომ ეს ყველაფერი ტყუილია და არ უნდა შეეშინდეს. ბუნებრივია ეს არ მოაგვარებს პრობლემას. შეიძლება ბავშვიც დაგვეთანხმოს და აღიაროს, რომ ეს ყველაფერი სინამდვილე არ არის, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ის მოვლენას ბოლომდე აანალიზებს. საბოლოო ჯამში ბავშვს აუცილებლად დაეწყება შიშები და დამით კოშმარული სიზმრები.

ძალადობის გამომხატველი გადაცემების ყურება ბავშვის გულგრილობას იწვევს. მაგალითად ბავშვი უყურებს, რომ მულტფილმის გმირს ქუჩაში უზარმაზარი მანაქანა გადაუვლის და გზაზე კომიკურად გააბრტყელებს. ცოტა ხანში ეს გასრესილი გმირი წამოხტება და ვითომც არაფერიო ახალ სიტუაციებში ჩაერთვება. ან კიდე, მულტფიმის გმირები ერთმანეთს იარაღს ესვრიან, ახვედრებენ, მერე კი ისევ აგრძელებენ ბრძოლა თან ისე რომ ეს ყველაფერი სასაცილოა. ამ ყველაფრის მაყურებელი პატარა ბავშვი უკვე ვედარც კი ხვდება, რომ ეს ყველაფერი სინამდვილეში ძალიან მტკიცნეული და სახიფათოა. ამის გაგება მას გაუჭირდება.

თანამედროვე ეპოქაში ომებსაც კი პირ-დაპირი ტრანსლირებით ვუყურებთ. დღის განმავლობაში უამრავი მკვლელობა, ავარია, დაჭრა, დასახიჩრება და მრავალი სახის უბედურება ჩნდება ეკრანებზე. წარმოვიდგინოთ ბავშვები, რომლებიც ამ ყველაფერს უყურებენ და რაც ყველაზე ცუდია უგრძობი და გულგრილი ხდებიან.



როგორც წესი ბავშვები ყოველთვის არ უყურებენ მხოლოდ იმ გადაცემებს, რაც მათთვის მომზადდა და ხშირად ძალადობის გამომხატველი ტელეპროგრამების წინაშე რჩებიან. ამიტომ ეს საკითხიც განსაკუთრებით ყურადსაღებია. სამწუხაროდ ხშირია შემთხვევა, როდესაც ბავშვები ტელევიზორში მომხდარ სხვადასხვა სახის დამაზიანებელ ქმედებებს ბაძავენ, თვითმკვლელობის მცდელობა იქნება ეს, სხეულის დაზიანება თუ სხვა. უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვები მოვლენებს სხვანაირად აღიქვამენ, ვიდრე უფროსები და შესაბამისად ნებატიური მოვლენები ზემოქმედება მათ მიმართ უფრო მძაფრია.



როდესაც ოჯახში უფროსები ტელეგ-
ვიზორს უყურებენ, ამ დროს ბავშვი შეიძ-
ლება თამაშობდეს და ისე ჩანდეს, რომ ის
საერთოდ არ აქცევს ყურადღებას ეკრანს.
არადა ამ დროს ის ყველაფერს ხედავს და
ყველაფერზე რეაგირებს. ამის გამოსარკვე-
ვად შეგვიძლია ვკითხოთ თუ რა ნახა ტე-
ლევიზორში ცოტა ხნის წინ. ხშირ შემთხ-
ვევაში მისი პასუხი დაგარწმუნებთ, რომ ის
ტელევიზორში მომხდარ მოვლენებს თვალ-
ყურს ადევნებდა. არადა ამ დროს მშობლე-
ბი ფიქრობენ, “ბავშვია, რას გაიგებს, თამა-
შობს”.

ბავშვმა რომ ტელევიზორით გადმოცე-
მული ძალადობის შემცველი გადაცემები
არ ნახოს საამისოდ, პრევენციული ღონის-
ძიებების სახით შეგვიძლია ტელევიზორის
ყურების ლიმიტი დავაწესოთ, მაგალითად
კონკრეტული საათები. ამისათვის კი ოჯახ-
ში მცხოვრებმა უფროსებმაც ტელევიზო-
რის ყურების რეჟიმი უნდა მოაწესოგონ.
იმ ოჯახებში, სადაც ოცდაოთხი საათის
განმავლობაში ტელევიზორი ჩართულია, ამ
რეჟიმის დაცვა და ბავშვების მსგავსი მავ-
ნე ზეგავლენისგან მორიდება შეუძლებელი
იქნება. ამიტომ, ჩვენთვისაც და ბავშვებისთ-
ვისაც თავისუფალი დროის გასატარებლად
სხვა სახის აქტივობები უნდა დავგეგმოთ.
ასეთ შემთხვევაში აღმოვაჩენთ, რომ ოჯახ-
ის წევრებს უფრო მეტი გვაქვს საერთო და

უფრო მეტ ყურადღებას გამოვიჩენთ ხოლმე.

ამ ყველაფრის მიუხედავად, შეიძლება, რომ ბავშვების დაცვა ტელევიზორისგან მომდინარე მავნე ზეგავლენებისგან, ყოველთვის ვერ მოვახერხოთ. ასეთ შემთხვევაში მავნე ზეგავლენის მინიმუმადე დასაყვანად რჩება ის, რომ ჩვენც ბავშვებთან ერთად ვუყუროთ გადაცემას. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ვესაუბროთ ბავშვს იმ კონკრეტული გადაცემის შინაარსზე და ვეცადოთ ეფექტის შემცირებას. შეუსაბამო და არასასურველი სცენის დროს გაჩუმება და იგნორი ბავშვისთვის საკმარისი არ იქნება, რომ გაიგოს ჩვენი დამოკიდებულება. ბავშვი ამ დროსდანახვით, გამოცდილებით სწავლობს და როდესაც ჩვენ ასეთ უსიმოვნო მომენტებს უკომენტაროდ და ურეაქციოდ გავატარებთ, ბავშვი იფიქრებს, რომ რახან ჩვენ ამ ყველაფერზე რეაქცია არ გვაქვს, ესე იგი ის ჩვეულებრივი და ნორმალურია. ბუნებრივია ბავშვს დაბადებიდანვე არ დაჰყვება საიამისო ცოდნა, რომ გაიგოს რა არის ცუდი და რა –კარგი. ამიტომ ყველა ნეგატიური და არასოწი მოვლენა, რასაც ბავშვი გადააწყდება უნდა განვუმარტოთ და ჩვენი დამოკიდებულება გავაცნოთ.

ყოველი ბავშვი დადებითის, სიკეთისაქნ მიდრეკილებით აღჭურვილი იბადება, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მან იცის ეს

ძალადობა და ბეჭდება

ყველაფერი და ყველაფერს სწორად გაიაზრებს. ჩვენ ჩვენი ცოდნა უნდა გავუზიაროთ, ზოგს თვითონ გამოცდის, შეცდომებს დაუშვებს, ზოგს წაიკითხავს, ზოგს ნახავს და ასე ისტავლის. ამიტომ, თემას რომ დავუბრუნდეთ, ტელევიზორში ნახული ძალადობის შემცველი, უსამართლო, ნეგატიური ზეგავლენის მქონე მოვლენები შესაბამისი ენით უნდა გავაკრიტიკოთ და დავაფიქსიროთ, რომ ის არასწორი და ცუდია. ეს არ უნდა დავამაღლოთ ბავშვებს, რათა ისინი სწორი გზით განვითარდენ.



ცუდი გადაცემების გაკრიტიკება და ბავშვებისთვის ამის ახსნა საკმარისია? არა. ბავშვისთვის ყველანაირი გადაცემის ყურებაზე ნების დართვა და მერე ახსნა, რომ ეს ყველაფერი ცუდია საქმეს არ გამოსაწორებს. ძალადობის გამომხატველი სცენები ადამიანს გულგრილს ხდის და ამ ყველაფ-

რის მიმართ ინდიფერენტულ დამკიდებულებას უვითარებს. რაცარუნდა ავუხსნათ, ბავშვი ფიქრობს, რომ ძალადობა პრობლემის გადაწყვეტის უმოკლესი და ეფექტური გზაა. ბავშვი ხედავს, რომ გაბრაზებულმა ქმარმა მეუღლეს დაარტყა, ან კამათის დროს ბიჭებმა უმალ იშიშვლეს დანები და იარაღები, ან ხელჩართული მუშტი-კრიკი გამართეს და ამ ყველაფერს სწავლობს. უფრო მეტიც, ბავშმა თუ ნახა, რომ ძალადობას წარმატება მოჰყვა და მოძალადე გამარჯვებული გამოვიდა, მიუხედავად შინაგანი პროტესტისა, ბავშვი ძალადობას აღიარებს და შესაბამის სიტუაციაში გამოიყენებს.



ტელევიზიით გაშვებული ძალადობის ამსახველი კადრებისა და ნეგატიური ზემოქმედების მქონე გადაცემების გაპროტესტების

გარდა, ჩვენ ადგილზევე უნდა ვეცადოთ პრობლემის სწორად გადაწყვეტას და მოსალოდნელი ზიანი მინიმუმამდე უნდა დაკიყვანოთ.

კომპირუტერული თამაშებიც ბავშვებს უქმნის გარემოს, სადაც ძალადობა მოჭარბებული დოზითაა. მოკვლა, დაჭრა, დანგრევა, განადგურება და სხვა მსგავსი ძალადობის გამომხატველი ვირტუალური სიტუაციები ბავშვს ამ ყველაფერს აჩვევს და კონკრეტულ სიტუაციაში მათი გამოყენების ალბათობა იზრდება. ამგვარი თამაშებისგან მომდინარე საფრთხე არის ის, რომ ბავშვის თვალში ძალადობა ნორმად ყალიბდება. საინტერესოა ის ადამიანი, რომელიც ერთი დილაკის დაჭერით მთელ ქალაქს ბომბავს, იმ გმირად წარმოიდგენს თავს, რომელიც კომპიუტერულ თამაშებში ნახა? ან ტყვედ ჩაგდებულ მოწინააღმდეგებს რომ უმოწყალოდ აწამებს და ამ ყველაფრს ფირზე იღებს, რისი გამოხატვა სურს? ან სკოლის უკან ჩხუბის დროს რამოდენიმე ბიჭი რომ ერთს შეუბრალებლად ურტყამს, თუ ფიქრობენ, როგორ სტკივა მას? კომპიუტერულ თამაშებშიც ასეა. მხოლოდ შედეგია მნიშვნელოვანი. ფიქრისთვის დრო არ არის ამ თამაშებში. ვინც სწრაფად იმოქმედებს და თავს დაესხმება მოიგებს. სად არის გარანტია, რომ ბავშვი ამ თამაშებით შეძენილ ჩვევებს რეალურ ცხოვრებაში არ

გამოიყენებს? ამ მიმართულებით მრავალი კვლევაა ჩატარებული და სტატისტიკური მონაცემები არსებობს. თუმცა აქ, ამ ყველაზე არ ვისაუბრებთ. უბრალოდ გვინდა დაგაფიქროთ თუ საით მიექანება საზოგადოება.



მხოლოდ ტელევიზორისა და კომპიუტერის დადანაშაულება და მთელი პრობლემის მათზე დაბრალება სწორი არ იქნება. აქ ყველაზე მთავარი მომენტი ოჯახისა და საზოგადოების აღმზრდელობითი მუშაობაა. ოჯახური ძალადობის გარემოში მოხვედრილი ბავშვი, რომელიც რეალურად, საკუთარი თვალით უყურებს ყველაფერს და ამის გამო დათრგუნულია, ამის ტელევიზორზე დაბრალება უადგილოა. ოჯახში, განრისხებული მამის მიერ დედის ცემა

უფრო მეტ შიშს, დათრგუნვას და ფსიქო-ლოგიურ პრობლემას გამოიწვევს, ვიდრე კომპიუტერში ნანახი ასობით ძალადობის სცენა.

და ბოლოს, ბავშვების ყველანაირი მავნე ზემოქმედებისგან დაცვა, მათი სწორი მიმართულებით განვითარება, უპირველეს ყოვლისა მშობლების მოვალეობაა. ამ მოვალეობის ღირსეულად შესრულებისთვის კი აუცილებელია საკითხის კარგად ცოდნასთან ერთად ბავშვებს კარგად გავუგოთ და მათი გვესმოდეს.